20.02.2019

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2019 წლის იანვარი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1.8 პროცენტით შემცირდა. ფასების 2.2 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი შემცირდა 1.6 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების 0.7 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები შემცირდა 7.1 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის იანვარში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**98.4**	**-1.65**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**92.9**	**-1.05**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**99.3**	**-0.59**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	101.6	0.66
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	87.2	-1.53

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

ექსპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე=100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge